

სახელმწიფო კურსები

გვერდი № 358

დაგვაჭის № 64

ମୂଲ୍ୟାତିକ, 15 ଡିସେମ୍ବର 1915 ଫ.

საბაზო დოკუმენტი საქართველო

A circular blue ink stamp from the State Library of New South Wales, Sydney. The outer ring contains the text "STATE LIBRARY NEW SOUTH WALES SYDNEY AUSTRALIA". The inner circle contains the date "20 JUNE 1980" and the name "B. G. COOPER".

ლიმანის შეივი (ჩანჩქერი)
ბათომის მახლობლად.

ବ୍ୟାକ୍‌ରୂପ

კუძლვნი გაუა-ცშაველას ხსოვნას.

შენაც წახვედი! საუკუნოდ მიჰტარდი თვალთა.
მარად ნათელი, მარად ლალი, მარად მგზებარე,
ეხლა უგრძნობლად განისვენებ საფლავს მდებარე,
და ზედ გასურავს მშობელ მიწის შავ-ბნელი კალთა...
მე დღეს შორის ვარ მარტოდ-მარტო მივარდნილ მთებში,
ლრუბელთა შორის აზიდული, ასული ცამდის.
მშვიდად ჰყეოთქ გული, თავისუფლათ გადაშლილ მკერდში
წმინდა ჰაერის ნაკადული ლვლივით ჩამდის.
რა ქამს პირველად წვერს ამოჰყოფს მზე სხივოსანი
და ოქროს პერანგს გადააცვამს მტრედისფერ დილას,
მე, გარეშემო ამწვენებულ კორდიდან მზირალს,
შენ მაგონდები—დიდი მთების—დიდი მგოსანი.
მე აქ ჩანჩქერი შუბლზე მაყრის ალმასის დორბლებს,
მე აქ გავსცერი ჩალურჯებულ კამარას ცასას,

მე გზას ულოცავ სანაღიროთ მიმავალ ორბებს
და შენ გიგონებ მაღალ მკონას მაღალი მთისას;
გიგონებ, როცა საღამოს უამს ფერდობი მთისა
შემოიკრებავს გარეშემო იისფერ ნისლა,
როდესაც მწუხრი ნაღვლიანი ფრთებს გაშლის ბარად
და ჩემს მახლობლად ნაძვის წვერზე სულ დალევს წყნარად
უკანასკნელი გაღმება ჩამავალ მზისა...
შორს ძრიფს-ლა მოსჩანს გაწოლილი გრეხილი მთების,
თითქოს, საზონელ შეტევის უამს მოსისხლე მტრების,
ძირს დაცმულა ბუმბერაზი ყელ-გამოჭრილი,
ხელის გაქნევით გადუყრია ფარ-ხმალი გვერდზე,
და მძლავრი ტანი სასიკვდილო ტანჯვით მოხრილი
სამარადისოთ გარინდულა მშობლიურ მკერდზე...

ალაგიოზი.

კ. ჭიჭინაძე.

სამაჟადიანო საქართველო ანუ ქველი მესეთი



ტბეთის ტაძარი
(ართვინის მ.)

ო, შოთა! შოთა!

ო, შოთა! შოთა! შენის აჩრდილით
მსურს შევემნა ლოცვა უცხო და ამო,
მსურს მეც უკვდავ-ვყო ჩემის სიკვდილით
ერის გენია სამარადეამი;
მსურს ჩემი კოხტა გრძნობათ სიმდიდრე,
ჩემი ლამაზი ტანჯვა და სნება,—
სკოცხლობდეს მარად, სკოცხლობდეს ვიდრე
შენი აჩრდილი არ მომეხსნება!
რის მაქნისია ისეთი ციხე
თუ შიგ ვერ ვნახავ ტყვეს წაწყმენდილსა?
რის მაქნისია, ნეტა, იგი ხე
ხე, რომელიც, რომ არ ისერის ჩრდილსა?
განსკხრი ჩრდილთაგან და ღვთივ-ნათელით
გამომეცხადე, რუსთველის ლანდო,
რომ შენი ღვთიურ საკერებელით
ჩემი ლექსები უხვად დაგბლანდო;
რომ მეც ავწერო მამათ წარსული,
სივ-სიკრგე წარსულთა დროთა,
რომ მეც შთავებრო თამარის სული
ჩემს ქართველ მუზას. ო, შოთა! შოთა!

ი. გრიშაშვილი.

მეგობარის

(გიორგი გელაშვილის ხელნახ).

გულმხიარულად ვიყავი
სანამ გზას ჩამოვცდებოდი,
მარტო შენს გასამხნევებლად
თურმე მწარედა ვცდებოდი.
რა დამიშორდა მანძილი,
თანდითან უკუ ვდგებოდი,
გამიორეცდა ნაღველი
ცასავით ვიღრუბლებოდი.
სად მივალ? ვისთან? სხვის მთა-ველს
რად უნდა შეეხიზნებოდი?
როცა ჩემს ტურფა წალკოტში
ვარდივით ვიფურჩენებოდი!

ვამბობდი ამას ჩემადა,
პირად კი არა ვტყდებოდი,
რა ღმერთი გამიშურებოდა,
ან როგორ მოვლაჩრდებოდი!

ქორფა ქალ-ვაჟის ამარა
ქალო, შექ მებრალებოდი;
გულში კი მაინც ვფიქრობდი,
ბედს მეფგრად დაუხვდებოდი.
ჭირსაც შეჩევა სკოდნია,
როგორც უბნობლენ ქველები...
ჯერ კარგადა ვარ, მერჩიან
ისევ მკლავი და ხელები.

მხოლოდ დარდი მაქვს ქვეყნისა—
ჩემი მთისა და ბარისა,
მეზობელ-ნათესავების
და გულის მეგობარისა.

მაწუხებს რაღაც ნაღველი,
სევდაც კი შემომეპარა,
ცისა და ქვეყნის საგმობი
მანდაც ხომ არა ტყვრებარა?
როდესაც შავი ღრუბლები
ცეცხლ-ფრქვევით შიდი-მოდიან,
მანდედაც ხომ არ აწევენ,
გულს ფიქრით დამიწოდიან...

ვინ იცის, როგორ მომწიფდა
ხოდაბუნებში სამკალი?
დაუზნექია თავთავსა,
კი არსად უჩანს მამკალი!

იქნება ჩემს გზას უყურებს
შენსავით ჩემი ნამგალი?
აქ კი მე თავზე ზუზნით
ტყვია დამწივის ასგალი!


ფიქრი არ არის, არ შედრკე,
გულით ნუ დამიბუნდები;
ომის ქარ-ცეცხლში ნაწროობი,
ოჯახს კელავ დაუბრუნდები.

ერთად-ერთსა გთხოვ, მაყვალავ,
ხშირად ნუ დაიჩრდილები,
მუდამ ლიმილით ეჩვენე,
არ დამეჩაგრნონ შვილები.

და თუ რამ მოხდეს, მაშინაც
ცრემლნი ნუ დაგაჩნდებიან,
ეტყოდე ჩემს შორს ყოფნასა,
სანამ არ დაიზრდებიან.

შიო მღვიმელი.

სამაჟადიანო საქართველო ანუ ქველი მესეთი



ოპიზა მონასტრის ნაგერევზე.

სამაჰადიანო საჭართველო ანუ ქველი მესეთი



ანეს ტაძრის ნანგრევები.

პრაპ. გორგი ჯანდიერი
(დაჭრილია)პორუჩ. ილარიონ ჯობაგა
(დაჭრილია და ტყველა ავსტრიაში)პრაპ. ლაშო კორძახია
(დაჭრილია)გიორგი ჩიტოშვილი
(დაჭრილია)პოდპო. ნ. გულისაშვილი
(დაჭრილია)ერემია ურუშაძე
(მოკლულია)

იპოვნა...

ნოველა გ. ფონ-ომბრედისა.

ქალაქის სულ განაპიროს, „ახალ ბჭეთან“, მორგის*) ეზოში იდ-
გა ღარიბულად ჩაცმული დედაბერი. კარებზე გაკრულ განცხადებასა
ჰქითხულობდა: „და კეტილია, რადგანაც ვერ იძოვის გამოუცნობი
ცხედრები“—ო. ანთებული, ჩაწითლებული თეალით, მოხუცებულობის
უამს რომ ეურჩებოდა პატრონს და რიგზე აღარ ეძორჩილებოდა, დე-
დაბერმა ძლიერ წაიკითხა ეს წარწერა. წაკითხვას შემდეგ კი მო-
ტრიალდა უკან და ერთ აღაგას იდგა. გარდა წყვეტილება ვერაფერი
ვერ მიელო. მნელი იყო იმისათვის აქ მოსვლა,—ხომ აქ უნდა გარდა-
წყვეტილიყო იმისი ბედი და იმის უკანასკნელ იმედისაც წერტილი და-
სმოდა! ეხლა კი, ეხლა ყველაფერს ბოლო მოელო.

იქვე, გვერდის ოთახიდან გამოვიდა მსახური, რამდენიმე წუთს
ახელ-დახედა დედაბერს და დაუყვირა:

— რა იყო, გინდა რამე? „მორგი“ დაკეტილია!..

დედაბერმა ტირილი მორთო, უძრავად იდგა.

მისამსახურებ რამდენიმე ხანს კიდევ უყურა, შემდეგ თავი ჩა-
აქნია, ააჩხარუნა გასაღებები და უკანვე შებრუნვა ტალვარში.

დედაბერი კი ისევ იქ იდგა, დაკეტილ კარებ წინ.

უცებ მას ხელი ვიღამაც დაადო მხარზე. ისიც კი ვერ შეამჩნია
უბედულმა, როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდა კაცი და ეხლა იმის
წინ იდგა.

— ალბად ექვე ვისმე, ვა? — ეკითხება ალერსიანი კილოთი დე-
დაბერს, — შემიძლიან რაიმე სამსახური გაგიწიო, დედი?.. შენ აქ ყო-
ფნის ნება არა გაქვს; რად გარჯილხა!

და ახალგაზრდა კაცი, ლია, პატრიოსნური სახისა და პატარა,
ქრისტენი, რომელსაც შეუჩერებლივ გრეხდა ხელში, ალერსით
და თანაგრძნობით შესცემორია მას.

პასუხის მაგიერ დედაბერმა სლოვინი მორთო. ლაპარაკი აღარ
შეეძლო.

კვლავ შეეკითხა დედაბერს ახალგაზრდა კაცი, ბოლოს ქუდი
მოიხადი, კას შეპერდა, სადაც თიბათვის კაშაშა მზე უხვად აურქვე-
ვდა თავის სხივებს, და შუბლიდან იფლი მოიწურა. ერთი ხანობა
ისე გეჩენებოდათ, თითქოს წასვლას აპირებდა, რაკი პასუხი ვერ მი-
ელო; თუ არ აპირებდა, ასე გეგონებოდათ მაინც.

— ოჳ, კატო... კატო... ჩემო კატო... სლოვინობდა დედაბერი
და ყოველს წუთს ცრემლისაგან სიტყვა ყელში უწყვეტოდა, — ხომ
გაზეთშიც გეძებდი, გხმობდი, შეილო, გენაცვალე... მე... მე... კა-
ტო... აღარ მობრუნდა... აღარ დაუბრუნდა თვის მოხუცს... დედა...
ახალგაზრდა კაცი გულდასმით უგდებდა ყურს.

— მერე, მერე... სცდილობდა ეთქმევინებინა დედაბრისათვის
როცა იგი გაჩერდებოდა, ენა გაუშებოდა ხოლმე.

— მე... მე... ხომ... სულ მუდმივი აუცილებლივ... კეთილი მსურ-
და... მისთვის... ოჳ, ლმერთო!.. ოჳ, ლმერთო!.. ლმერთო!.. კატო...
შეილო... კატო... ცუდი სიტყვა... ხომ არ გაგიგონია... ჩემგან... არა-
დროს...

ახალგაზრდა კაცმა ხელი მოჰკიდა დედაბერს ხელშე და ძირს
კიბეზე ჩაიყვანა.

— მაინც, დედი, რა შეემთხვა იმ შენს კატოს?

— რა შეემთხვა, შეილო და, გამექცა... ხომ ვაკი, როგორც
ხდება ხოლმე ესა... ხომ ვეუბნებოდი... არავის გადაჭიდებოდა... არ
გადაჭიდებოდა... ის ცუდი კაცი... ვეუბნებოდი... პატარა ხანს
უკან... თავს დაანგებდა... ხომ ი ჩემ ვრგოს ფული არა ჰქონდა...
მე კი... მე კი... ყველაფერ ამას წინდაწინე ვეუბნებოდი...

მეტი ლაპარაკი აღარ შეეძლო. ახალგაზრდა კაცმა კარავ და-
მშვიდება, დაშოშინება დაუწყო, მაგრამ დედაბერი აღარას უპასუ-
ხებდა, არამედ სტირილი, სტირილი შეუჩერებლივ და იმას ღა იმე-
რებდა, ხომ დროშე გაპატივ იმას, ჩემს კატოს დანაშაული და სამ-
ჯერ გამოვაცხადებინე გაზეთში: „კატო, შეილო, გენევალე, და-
ბრუნდი შენს მოსიყვარულე დედასთანაო“. ფული „ბევრი“ დამეხარ-
ჯა ამ განცადებაში და კატო კი მაინც ვერ ვიპოვნე.

ახალგაზრდა კაცს გული ეტკინა, შეებრალა მოხუც. მხიარულ,
პატიოსნურ სახეზე სევდის იერი გადაეკრა, ჩაფიქრდა. აღარ იცოდა,
რა ექმნა, რით დახმარებოდა უბედურ დედაკაცს.

ბოლოს გრძელ-გრძელ მმაგის მოხუცს, რომ ჩემს ძმა-
საც დაემართა ეგრევე, როგორც შენს კატოს. ბოლოს მდინარე

*) მორგი — შენობა, სადაც გამოპერენ ხოლმე ნაპოენ ცხედრებს,
რათა პატრონებს შეძლება მიეცეთ იცნონ თავიანთი მიუვალებული.

შპრედან, სავუბართან ამოეთრით. დიდი, დიდი უბედურობა დაგვა-
რებულა თავს. მას უკან აგერ რვა წელიწადი გავიდა უკვე. მე და მა-
მაჩემა ისიც აქ ვიპოვნეთო. დედაბერი გულმოდგინეთ უგდებდა
ყურს ამ ამბავს. საკუთარი გარამი რამდენიმე წუთს გულიდან გადა-
ვარდნოდა, თავს უქნივდა მობაასეს და ეს და-ეს მიერობდა: „ჰო...
ჰო... მერე?..“ იასლგაზრდა კაცი მოხუცს სხვა ამბავსაც მოუყა: ჩე-
მი დეიდაშვილიც დაიკარგა მაგრე, მაგრამ მერმე უცებ ისევ გამო-
ჩნდა. რომ დაბრუნდა, ახალი ტანისამოსიც კი ეცვა, ჯიბეშიც ცო-
ტაოდენი გროშობა აღმოაჩინდა. მუშაობით ეშოვნა. აქედან აგერ
იქვევა, „დასახიჩრებულთა ქუჩაზე“ ბულკის საცხობი გახსნა და საქ-
მეც რიგიანად მისდიოს.

იმან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა დედაბერზე, რომ მან
ცრემლმორეული სიცილიც კი დაიწყო. ხოლო როცა ახალგაზრდა
კაცმა ისიც დაატანა — არა-უშავეს-რა, კატოც ისევ მობრუნდება შინ
და, ვინ იცის, იქმნება იმასაც ახალი ტანისამოსი ეცვას... აი... თუნდ
ფერადი ჩითის კაბაო, დედაბერს თვალო ცრემლი ამოაშრა.

— ახლა კი, დედი, ცოტას გაგაცილება, — უთხა ახალგაზრდა
კაცმა და ორივე ერთად გამოვდა ეშოვნა, — მხოლოდ შორს კი ვერ
გამოვგვები, — დააყოლა მან, — არ იქმნება, აქ, კატორაში მწერლადა
ვარ.

თითქოს მიუახლოვდნენ ქუჩის ერთს კუთხეს, რომ „მორგი“-ს
ეზოდან გამოვიდა მოსამსახურე და მათ უკან გამოეკიდა. ხელში გა-
სალებების მთელი კონა ეჭირა და სიჩერით ქუდის დახურვაც ვერ
მოესწორო.

— ეკერს, ბატონო, ეგ შმიდტის ქვრივია, — მოახსნა მსახურმა
ახალგაზრდა კაცს.

— მართალია, ლენა შმიდტისა გახლავარო, ქვრივი. ვცხოვრობ
შოლის ქუჩაზე, № 52, სახლის მეოთხე სართულში, — მიშით განუ-
მარტა დედაბერმა.

— მოდა, კანტორაში გიბარებენ.

მოხუცი შეზინებული მობრუნდა უკან და გაიქცა, გაიქცა, ამ-
დესადაც ამის წების აძლევდა დაჩაჩანებული მუხლი.

— მოცა, მოცა, დედი, ისეთი საშურიც არ არის! — დაამშვი-
და მწერლობა.

— აცაცუახებული დედაბერი ტალავარში შევიდა. ალელებული-
ყო, აფორიაქებულიყო. ცრემლთა წყაროს კალავ ექმნა პირი, ცრემ-
ლი კალავ მოსდევდა ერთი-მეორეს.

მოსამსახურებ ცდა გარედ დაუწყო. პატარა ხანს უკან შიგნი-
დან დაუძახეს. შევიდა. „გაატარე ეს დედაკაცი“, გაისმა ბრძანება.

გასაღებების ჩხარუნით გეუძლვა იგი დედაბერს. ქეის ფილა-
ქანზე ბრახუნი გაუდიოდა ფეხსაცმელს. მოხუცი ფეხ-არევით მისდევ-
და მსახურს უკან. აღარა სტირილი. დაწითლებული თვალები ფარ-
თეთ გაელო. ცალ ხელში პატარა, შავი, ძველი ჩანთა ეჭირა, საიდა-
ნაც ცხვირსახოც ამოეყო ყური, მეორე ხელის თითები კი, არ ვიც
რად, მთლიად გაეპარჟყა.

გაიარეს სახრთო ოთახი, შევიდნენ პატარა, უბრალო, ცარიელ
სამლოცველში, გაიარეს კიდევ თოთახი, სადაც მუხის შევენიერი კუ-
ბო იდგა. ზედ სხვა ოთახი მოჰკვა; გაეიღნენ დერეფანში, ჩაჰენენ.
ტალანს, სადაც აქეთ-იქით ახდილი შეუშის კუთხები იყო ჩამწკრივე-
ბული, თითქოს ორანერებით. მსახური კალავ წინ მიდიოდა, დედა-
ბერი კი ფეხ-არევით მისდევდა უკან. ფართე, ნათელი დარბაზის კა-
რები გაიღო. კატო შევიდნენ ტანისამოსი ეცვადა. კაშკაშა მშემ პირველად
თვალო დაუბნელა მოხუცს. ერთს წუთს შებრუდა იგი, ველარაფერი
გაერჩია... შემდეგ თვალო ცარმოულდა რკინის არც თუ ისე მაღალი,
მაგიდა — ზედ ცხედარი ესვენა... ტიტველი, ყვითელი, ჩამომძნარი-
ნოს ალიბასტრისათვა... მაგიდი ნაპირის ნაპირის გრძელები, აწე-
წილი, სეველი თმა... მოხუცი ჯერ ყოყანობდა. მერმე უცემ გაუცა-
რდა ჩანთა, ხელი თავში შემოკრა... ყელში ქოთქოთი დაუწყო... მი-
გარდა მაგიდას, ჩეკონა ცხედარს, დაღუმდა, მოხუცა თვალი, მჩვარი-
ვით მოწვევა.

უძრავი იყო, მდომარე, უცყვი. მსახური გვერდზე იდგა. ქვეშ-
ქვეშ განხედავდა ხოლმე, შემდეგ მიტრიალდა იქით, ნელა მივიდა
დანჯარისათან. ნახევარი გაღებული იყო. გარეთ მზე კაშკაშებდა. მის
სხივთა ანარეკლი ფანჯრის მინებში მოსხანდა. გვერდის თოთახის გა-
ლესილი კედელი იმავ სხივთ აელაპლაკებინა. ქუჩაში ეტლმა გაირ-
ბინა, რის-ჩისი შემოისმა დარბაზში.

ქვათებილზე ფეხის ხმა მოისმის... ვიღაცა უსტევნის კიდეც... ხმა
იმა სტენისა ილულება, სწყლება... სიო ნელ-ნელა; ქურდულად მო-
ძრაობს. ლობის ხეების ტოტებ შუა, პირდაპირ რაღაცა შრიალი
ისმის... სიო მისწყდა ისევ... ცრემლი თანაბრივ სწვეთს მაგიდაზე,
მავიდიდან — იატაქზე... სწვეთს, სწვეთს... ილევა... ილევა... ილევა...
ცრემლი შრებანა... კვლებიან... ირგვლივ...

სანგანიძე.